დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით

საუნივერსიტეტო/სტუდენტური ღონისძიებების/პროექტების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

საუნივერსიტეტო /სტუდენტური ღონისძიებების/პროექტების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის წესი“ განსაზღვრავს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო (სტუდენტური) ღონისძიებების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვექყნის გარეთ დაფინანსების ოდენობასა და მისი გაცემის წესს.

მუხლი 2. დაფინანსება (ოდენობა)

1.ღონისძიებების ფარგლებში სტუდენტის დაფინანსების ოდენობა ქვეყნის შიგნით ყოველგვარი გადასახადების გათვალისწინებით განისაზღვროს :

ა) დღის ხარჯს არაუმეტეს 40 (ორმოცი) ლარისა;

ბ) მგზავრობის ხარჯი არაუმეტეს 35 (ოცდათხუტმეტი) ლარისა;

ბ)საცხოვრებლით უზრუნველყოფა/ღამისთევის ხარჯი წარმოდგენილი ივოისის შესაბამისად.

2. ღონისძიებების ფარგლებში სტუდენტის დაფინანსების ოდენობა ქვეყნის გარეთ ყოველგვარი გადასახადების გათვალისწინებით განისაზღვროს :

ა) დღის ხარჯს არაუმეტეს 40 (ორმოცი) ლარისა;

ბ) მგზავრობის ხარჯი არაუმეტეს 35 (ოცდათხუტმეტი) ლარისა;

ბ)საცხოვრებლით უზრუნველყოფა/ღამისთევის ხარჯი წარმოდგენილი ივოისის შესაბამისად.

3. უნივერსიტეტის მიერ ტრანსპორტით უზრუნველყოფის შემთხვევაში სტუდენტებს/ პროფესიულ სტუდენტებს აუნაზღაურდებათ მხოლოდ დღისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა/ღამისთევის ხარჯი.

მუხლი 3. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება განხორციელდეს წინასწარი ან შემდგომი გადახდით, სტუდენტის/ პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი/მოხსენებითი ბარათისა და ადმინისტრაციული აქტის შესაბამისად.

მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.